




ნატო-ს გენერალური მდივანი იანს სტოლტენბერგი კრწანისში წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს ხსნის. . .  
თბილისი, 2015 წლის 27 აგვისტო

რა  
ს  
წა  
რმ  
ოა  
დ  
გ  
ნს  
J  
T  
E  
C  
?

- ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) დაარსების გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე და გაიხსნა 2015 წლის აგვისტოში.
- JTEC უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო შესაძლებლობებს საქართველოს, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალებისათვის.
- JTEC ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) 13 პროექტიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყველაზე ამბიციური პროექტია. არსებითი პაკეტი თავდაცვის აღმშენებლობის ინიციატივითაა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების ფართო სექტორის განვითარებისა და რეფორმის მხარდაჭერასა და ნატოსთან თავსებადობის მიღწევას.
- JTEC მდებარეობს წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდაჭერი ცენტრი „კრწანისის“ ტერიტორიაზე.

## ნატო-საქართველო JTEC

JTEC-ში რამოდენიმე ქვეყნის სამხედრო მსახურობს. მასში ირიცხება 260-მდე ქართველი სამხედრო და სამოქალაქო პირი. აგრეთვე ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ოფიცრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, როგორცაა ნორვეგია, დანია, ლატვია, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი და ფინეთი. გარდა ამისა, მუდმივი კონტრაქტორები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.



### JTEC-ის მომავალი

JTEC მუდმივად ვითარდება. მომავალი სამ წლიანი გეგმა მოიცავს ცენტრის საქმიანობის გაფართოებას. შეერთებული შტატები ცენტრს შესთავაზებენ ტექნოლოგიებს, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრს სავსე სიმულაციური საცეცხლე მხარდაჭერით და სხვა ეფექტებით. 2019 წლისათვის JTEC მიზნად ისახავს უზრუნველყოს ყველა დონის სავსე სიმულაციური და ვირტუალური სწავლება როგორც სარდლობისა და ბრიგადებისათვის, ასევე ბატალიონის, ასეულისა და ოცეულისათვის, რომლებიც ერთობლივად იქნებიან დაკავშირებული ნატოს საწვრთნელ ცენტრებსა და ნატოს წევრ ქვეყნებთან.



## JTEC

### ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი

Est. 2015.

*Si Vis Pacem, Para Bellum*



# მოგესალმებით JTEC

## სწავლებაზე!

- JTEC ახლად დაფუძნებული საწვრთნელი ცენტრია, სადაც საქართველოს, ნატოს და პარტნიორი ქვეყნების ოფიცრები შეთანხმებულად მუშაობენ, რათა საქართველოს, ნატოს და პარტნიორ ქვეყნების შეიარაღებული ძალები უზრუნველყონ მაღალი დონის წვრთნებით.
- JTEC შეიქმნა, რათა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლოს მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც რეალური ასევე კომპიუტერულ-სიმულაციური მოქმედების დროს.
- სიმულაციური ტექნოლოგიები ეხმარება სასწავლო ერთეულებს ჩაატარონ უფრო ეფექტური და რეალისტური წვრთნები ნაკლები დანახარჯებით, თავად გაანალიზონ ქვედანაყოფის მოქმედებები, განსაზღვრონ და გამოასწორონ წვრთნების მეთოდიკა.

## წვრთნების ფილოსოფია

JTEC წვრთნები დაფუძნებულია თანამედროვე მომზადების სტანდარტებზე. ცენტრი ორიენტირებულია ინდივიდუალურ და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაზე, ამოცანით მართვაზე და საერთო-საჯარისო მიგონაზე. ჩვენი მიზანია საქართველოს შეიარაღებულ ძალები გახდეს უფრო მოქნილი, სწრაფი და პასუხისმგებელი.



# საველე წვრთნები

- JTEC-ის საველე წვრთნების სექცია უზრუნველყოფს რეალურ და ხელმისაწვდომ სწავლებას საქართველოს საბრძოლო დანაყოფებისათვის, სადაც სასწავლო ერთეული დაუპირისპირდება რეალურ მოწინააღმდეგე ძალებს.
- სასწავლო ქვედანაყოფი ისევე, როგორც მოწინააღმდეგე აღჭურვილია ლაზერული გადამცემ-მიმღებით რაც ჯარისკაცს და მის მეთაურს ინდივიდუალურად ასწავლის სწორ მოქმედებას, ლიდერობასა და ბრძოლაში წარმატებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასრულებს მანევრს.

სამხედროები აღჭურვილი არიან MILES სისტემით, რითაც ისინი იგებენ მოხდა მათი დაზიანება თუ მოწინააღმდეგის



- ცენტრის მრავალეროვნული სასწავლო პერსონალი და დამკვირვებელ-მაკონტროლებელი (OC's) რჩევას აძლევენ საბრძოლო ქვედანაყოფებს და მათ მეთაურებს, თუ როგორ უნდა მიაღწიონ მიზანს.
- ყოველ სასწავლო ქვედანაყოფს ეძლევა ერთი კვირის ვადა საწვრთნელ ცენტრში. ცენტრში მოსვლამდე ისინი თავად ემზადებიან თავიანთი საწვრთნელი მიზნებიდან გამომდინარე.
- წვრთნების პროცესში და შემდგომ მეთაურები და მათი ქვედანაყოფები მიიღებენ კონსტრუქციულ შეფასებას სასწავლო ცენტრის შტაბისგან.

# სიმულაციური სწავლება

- დამატებით JTEC ნატო-საქართველოს პერსონალს სთავაზობს სიმულაციურ წვრთნებს ბატალიონისა და ბრიგადის დონეზე.
- ქვედანაყოფი იწვრთნება გეგმის მიხედვით. აღნიშნული მოიცავს, მართვას, კონტროლსა და კომპიუტერული სიმულაციებით ხელმძღვანელობას.
- JCATS-ის პლატფორმა სთავაზობს რეალისტურ კომპიუტერულ სიმულაციებს, რომლის დახმარებითაც მეთაურები და პირადი შემადგენლობა გაივლიან წვრთნებს **მოწინააღმდეგის წინააღმდეგ.**

კომპიუტერული სიმულაციის ფოტო.

სიმულაციების დეპარტამენტს შეუძლია ერთდროულად ჩაატაროს რამდენიმე დონის სიმულაცია მაგალითად: ერთი ბრიგადა აკონტროლებს სამ ბატალიონს.



## სწავლებები

- JTEC მხარს უჭერს, უზრუნველყოფს და ატარებს ნატო-საქართველოს წვრთნებს და სწავლებებს საქართველოში.
- JTEC აგრეთვე მხარს უჭერს, უზრუნველყოფს და ატარებს ეროვნულ, უწყებათაშორის, ორმხრივ, და მრავალეროვნულ სწავლებებს.

## ანალიზი

ანალიზის განყოფილება აანალიზებს სწავლების შედეგებს, რათა შემუშავებული რეკომენდაციებით დაეხმაროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გახდეს თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი.

